შემუშავებულია კლასტერულ კომპონენტთა მეთოდი ოთხკომპონენტიანი ხსნარებისათვის.მიღებულია კლასტერული კომპონენტები და მათი შესაბამისი კოეფიციენტები.

G.Sirbiladze

THE METHOD DUSTER COMPONENTS FOR QUADRUPLE SOLID SOLUTIONS

Summary

A method cluster components for quadruple solid solutions has been developed. Cluster components and their corresponding weight coefficients have been obtained.

--

№	C_A	C_B	C_C	$\overline{\xi_\alpha}$	$\overline{\xi_\alpha^2}$	$\overline{\xi_\alpha^3}$	$\overline{\xi_\alpha\xi_\beta}$	$\overline{\xi_\alpha\xi_\beta^2}$	$\overline{\xi_\alpha\xi_\beta^3}$	$\overline{\xi_\alpha^2\xi_\beta}$	$\overline{\xi_\alpha^2\xi_\beta^2}$	$\overline{\xi_\alpha^2\xi_\beta^3}$	$\overline{\xi_\alpha^3\xi_\beta}$	$\overline{\xi_\alpha^3\xi_\beta^2}$	$\overline{\xi_\alpha^3\xi_\beta^3}$	K K
1	1	0	0	-2	4	-8	4	-8	16	-8	16	-32	16	-32	64	$A^{(\alpha)}_{V\alpha}A^{(\beta)}_{V\beta}$
2	$V\alpha$	$1-V\alpha$	0	-2	4	-8	2	-2	2	-4	4	-4	8	-8	-8	$A^{(\alpha)}_{V\alpha}B^{(\beta)}_{V\beta}$
3	$V\alpha$	0	$1-V\alpha$	-2	4	-8	-2	-2	-2	4	4	4	-8	-8	-8	$A^{(\alpha)}_{V\alpha}C^{(\beta)}_{V\beta}$
4	$V\alpha$	0	0	-2	4	-8	-4	-8	-16	8	16	32	-16	-32	64	$A^{(\alpha)}_{V\alpha}D^{(\beta)}_{V\beta}$
5	$1-V\alpha$	$V\alpha$	0	-1	1	-1	2	-4	8	-2	4	-8	2	-4	8	$A^{(\beta)}_{V\beta}B^{(\alpha)}_{V\alpha}$
6	$1-V\alpha$	0	$V\alpha$	1	1	1	-2	4	-8	-2	4	-8	-2	4	-8	$A^{(\beta)}_{V\beta}C^{(\alpha)}_{V\alpha}$
7	$1-V\alpha$	0	0	2	4	8	-4	8	-16	-8	16	-32	-16	32	-64	$A^{(\beta)}_{V\beta}D^{(\alpha)}_{V\alpha}$
8	0	1	0	-1	1	-1	1	-1	1	-1	1	-1	1	-1	1	$B^{(\alpha)}_{V\alpha}B^{(\beta)}_{V\beta}$
9	0	$V\alpha$	$1-V\alpha$	-1	1	-1	-1	-1	-1	1	1	1	-1	-1	-1	$B^{(\alpha)}_{V\alpha}C^{(\beta)}_{V\beta}$
10	0	$V\alpha$	0	-1	1	-1	-2	-4	-8	2	4	8	-2	-4	-8	$B^{(\alpha)}_{V\alpha}D^{(\beta)}_{V\beta}$
11	0	$1-V\alpha$	$V\alpha$	1	1	1	-1	1	-1	-1	1	-1	-1	1	-1	$B^{(\beta)}_{V\beta}C^{(\alpha)}_{V\alpha}$
12	0	$1-V\alpha$	0	2	4	8	-2	2	-2	-4	4	-4	-8	8	-8	$B^{(\beta)}_{V\beta}D^{(\alpha)}_{V\alpha}$
13	0	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	$C^{(\alpha)}_{V\alpha}C^{(\beta)}_{V\beta}$
14	0	0	$V\alpha$	1	1	1	2	4	8	2	4	8	2	4	8	$C^{(\alpha)}_{V\alpha}D^{(\beta)}_{V\beta}$
15	0	0	$1-V\alpha$	2	4	8	2	2	2	4	4	4	8	8	8	$C^{(\beta)}_{V\beta}D^{(\alpha)}_{V\alpha}$
16	0	0	0	2	4	8	4	8	16	8	16	32	16	32	64	$D^{(\alpha)}_{V\alpha}D^{(\beta)}_{V\beta}$

Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени
государственного университета
თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
251, 1984

ОБ ОЦЕНКЕ ПОСТОЯННОЙ q В ОБОБЩЕННОЙ ЛЕММЕ ШВАРЦА

И.Д.Блиадзе

1°. Как известно, альтернирующий процесс Шварца представляет собой итерационный процесс, дающий возможность решать краевую задачу для области, когда эта область является объединением нескольких простых областей, для каждой из которых краевая задача предполагается разрешенной при соответствующих граничных условиях. (См.,напр.,/1/,/2/). При доказательстве сходимости процесса важную роль играют лемма Шварца /2/ и некоторые ее обобщения, а скорость сходимости определяется постоянной q, входящей в вышеуказанную лемму.

В данной работе предлагается методика оценки этой постоянной, а в некоторых конкретных случаях при помощи этой методики получены оценки q в явном виде. Отметим также, что эти оценки можно использовать для исследований скорости сходимости некоторых других итерационных процессов, например, в итерационном процессе, предложенном в /3/.

Отметим также, что в работе /4/ приводятся оценки q в некоторых простых случаях, а точнее в круговых областях.

2°. Изложим обобщенную лемму Шварца, которая в несколько ином виде приводится в /3/.

Лемма I. (Обобщенная лемма Шварца). Пусть имеется односвязная плоская область D с кусочно гладкой границей Γ. Пусть далее $U(x,y)$ – любая гармоническая функция в D, граничные значения которой равны нулю по крайней мере на двух дугах $P'P''$ и $Q'Q''$ контура Γ, а в других точках Γ удовлетворяет неравенству $|U(x,y)|\leq 1$ (рис.I). Тогда для значений, принимаемых функцией $U(x,y)$ на кривой γ, верна оценка

$$|U(x,y)|\leq q<1, \quad (x,y)\in\gamma, \tag{I}$$

где q – постоянная, зависящая только от геометрических свойств области D и кривой γ, а сама кривая γ удовлетворяет следующим требованиям:

I. Кривая γ соединяет любые точки $P\in P'P''$ и $Q\in Q'Q''$ в которых существуют касательные к Γ.

II. Кривая γ имеет касательные в точках P и Q, не совпадающие с касательными контура Γ в тех же точках.

Доказательство этой леммы можно провести аналогично /2/.

Теперь перейдем к оценке постоянной q в неравенстве (I). Сперва допустим, что P' и Q' находятся с одной стороны кривой γ, а P'' и Q'' – с другой и обозначим через D_1 область, ограниченную кривой $QQ'P'PQ$, а через D_2 – область с границей $PP''Q''QP$ (см. рис.I).

Через точки P' и Q' проведем окружность ∂A и полученную круговую область обозначим через A, а через α обозначим внутреннюю дугу окружности ∂A. Будем предполагать, что построенная нами область A и дуга α удовлетворяют следующим условиям:

а) $D_2\subset A$,

б) $\alpha \subset D_1 \cup P'Q'$.

Тут же заметим, что окружность с такими свойствами существует в любом случае, и еще заметим, что когда ∂A есть прямая, под областью A подразумевается полуплоскость, в которой находится область D_2.

Совершенно аналогично через P'' и Q'' проведем окружность ∂B, удовлетворяющую, в свою очередь, следующим требованиям:

а) $D_1 \subset B$,

б) $\beta \subset D_2 \cup P''Q''$.

Наконец, предположим, что $A \cap B = S$.

Теперь, пусть $W(x,y)$ есть гармоническая в области S функция со следующими граничными значениями:

$$W(x,y)=1, \quad (x,y) \in \alpha \cup \beta,$$
$$W(x,y)=0, \quad (x,y) \in \partial S \setminus \alpha \setminus \beta.$$

Тогда, согласно обобщенной лемме Шварца, существует постоянная θ со следующим свойством:

$$\max_{(x,y)\in\gamma} W(x,y) = \theta < 1, \tag{2}$$

и справедлива следующая

Лемма 2. Для постоянной q из (I) справедлива следующая оценка

$$q \le \theta, \tag{3}$$

где θ – постоянная, определенная в (2).

Для доказательства леммы рассмотрим в D гармоническую функцию $V(x,y)$ с граничными условиями:

$$V(x,y)=0, \qquad (x,y)\in P'P''\cup Q'Q'',$$
$$V(x,y)=1, \qquad (x,y)\in P'Q'\cup P''Q'',$$

для которой на кривой γ имеем следующую оценку:

$$\max_{(x,y)\in\gamma} V(x,y)=\bar{q}<1.$$

Нетрудно заметить, что согласно принципу максимума для гармонической функции, выполняется следующее неравенство: $q\le\bar{q}$.

Теперь функции $W(x,y)$ и $V(x,y)$ рассмотрим в области $D\cap S$ и заметим, что на границе этой области выполняется неравенство $V(x,y)\le W(x,y)$ и, следовательно, вновь из принципа максимума получим $\bar{q}\le\theta$, что и доказывает лемму.

После этого осталось заметить, что постоянную θ можно вычислить в явном виде, так как область S всегда можно конформно отобразить на единичный круг элементарными функциями, а там интегральная формула Пуассона принимает довольно простой вид, поскольку граничные значения искомой функции являются кусочно постоянными.

3°. Теперь с помощью вышеизложенной методики оценим постоянную q в прямоугольниках с разными граничными условиями. Заметим, что полученные ниже оценки можно использовать при решении альтернирующим методом Шварца задачи Дирихле для уравнения Пуассона в сложных прямоугольных областях.

3^{I}. Пусть $D=\{0<x<a,\ 0<y<a\}$, $\gamma=\{x=c<a,\ 0<y<a\}$ (см.рис.2). Пусть далее, $P'=(0,a)$, $Q'=(0,0)$, а участок $P''Q''$ отсутствует. Наша задача состоит в оценке

$\max\limits_{0<y<a} v(c,y)$, где $v(x,y)$ – гармоническая функция в D, которая равна единице на $P'Q'$, а на остальной части границы принимает значение нуль.

Применяя вышеуказанную методику, получим, что область B отсутствует, а область A является полуплоскостью $x>0$. Функция $w(x,y)$, которая должна удовлетворять на $x=0$ следующим граничным условиям:

$$w(0,y)=1 \qquad y\in[0,a],$$
$$w(0,y)=0 \qquad y\in R\setminus[0,a],$$

будет иметь вид (см.напр., /5/):

$$w(x,y)=\frac{1}{\pi}\left(\operatorname{arctg}\frac{y}{x}+\operatorname{arctg}\frac{a-y}{x}\right)$$

После того, как приравняем к нулю производную $w(c,y)$, получим, что она достигает своего максимума при $y=\frac{a}{2}$ и, следовательно,

$$\theta=\frac{2}{\pi}\operatorname{arctg}\frac{a}{2c}.$$

Заметим, что эта задача, кроме вышеупомянутого случая, возникает при оценке скорости сходимости итерационного процесса, предложенной Д.Г.Гордезиани в /3/ для задачи Бицадзе-Самарского /5/.

3^2. Вновь рассмотрим ту же область D и кривую γ (рис.2). Только теперь $P'=(0,0)$, Q' совпадает с Q, а участок $P''Q''$ снова отсутствует. В этом случае A будет полуплоскость $y>0$, а $w(x,y)$ на γ будет иметь вид:

$$w(c,y)=\frac{1}{\pi}\operatorname{arctg}\frac{c}{y}$$

Отсюда видно, что своего наибольшего значения $w(c,y)$

достигает при $y \to 0$ и поэтому $\theta = \frac{1}{2}$.

3^3. Теперь рассмотрим следующий случай (рис.3).

$$D = \{0 < x < 3a,\ 0 < y < a\}, \quad \gamma = \{x = a,\ 0 < y < a\},$$

$$P' = (0,0),\ Q' = Q = (a,0),\ Q'' = (2a,0),\ P'' = (3a,0).$$

В этом случае возникает очень интересная ситуация, т.к. области A и B строятся единственным образом и совпадают с полуплоскостью $y > 0$. Для $W(x,y)$ получаем следующие граничные условия:

$$W(x,0) = 1, \quad x \in [0,a] \cup [2a, 3a],$$
$$W(x,0) = 0 \quad x \in R \setminus [0,a] \setminus [2a, 3a].$$

Решение этой задачи можно найти аналогично в /5/ и на γ оно будет иметь вид:

$$W(a,y) = \frac{1}{\pi} \operatorname{arctg} \frac{2a}{y}.$$

Следовательно, как и в предыдущем случае, получим:

$$\theta = \frac{1}{2}.$$

3^4. Наконец, рассмотрим следующий случай (рис. 4). Пусть $D = \{-a < x < a,\ -b < y < b\}$, $\gamma = \{x = 0,\ -b < y < b\}$,

$$P' = (-a, b),\ P'' = (-a, -b),\ Q' = (a, b),\ Q'' = (a, -b).$$

Окружности ∂A и ∂B вновь строятся единственным образом. ∂A совпадает с прямой $x = b$, а ∂B – с прямой $x = -b$. Тогда $S = \{-\infty < x < \infty,\ -b < y < b\}$ и для $W(x,y)$ будем решать следующую задачу:

$$\Delta W(x,y)=0 \qquad (x,y)\in S,$$
$$W(x,b)=W(x,-b)=1 \quad -a\leq x\leq a,$$
$$W(x,b)=W(x,-b)=0 \quad x\in R\setminus[-a,a],$$

найдем

$$\theta=\max_{x\in[-a,a]} W(x,0).$$

Следуя этой цели, полосу S при помощи конформного отображения можно отобразить на единичный круг.
Для нашего случая эти преобразования будут иметь следующий вид (см. /7/).

$$\begin{cases} \bar{x}=\dfrac{e^{\frac{\pi x}{b}}-1}{e^{\frac{\pi x}{b}}+2e^{\frac{\pi x}{2b}}\cos\frac{\pi y}{2b}+1} \\ \bar{y}=\dfrac{2e^{\frac{\pi x}{2b}}\sin\frac{\pi y}{2b}}{e^{\frac{\pi x}{b}}+2e^{\frac{\pi x}{2b}}\cos\frac{\pi y}{2b}+1} \end{cases} \tag{4}$$

После применения этого преобразования получим картину, изображенную на рис.5, где $\bar{P}'=(-\alpha,\beta)$, $\bar{P}''=(-\alpha,-\beta)$, $\bar{Q}'=(\alpha,\beta)$, $\bar{Q}''=(\alpha,-\beta)$.

Здесь

$$\alpha=\frac{e^{\frac{\pi a}{b}}-1}{e^{\frac{\pi a}{b}}+1}, \qquad \beta=\frac{2e^{\frac{\pi a}{2b}}}{e^{\frac{\pi a}{b}}+1}, \tag{5}$$

а отрезок PQ переходит в $\bar{P}\bar{Q}$, где

$$\bar{P}=\left(-\frac{\alpha}{e^{\frac{\pi a}{b}}+1},0\right),\quad \bar{Q}=\left(\frac{\alpha}{e^{\frac{\pi a}{b}}+1},0\right).$$

Теперь построим функцию $\overline{W}(\bar{x},\bar{y})$, гармоническую в единичном круге (рис.5), которая удовлетворяет следующим граничным условиям:

$$\overline{W}(\bar{x},\bar{y})\Big|_{(\bar{x},\bar{y})\in\bar{P}'\bar{Q}'}=\overline{W}(\bar{x},\bar{y})\Big|_{(\bar{x},\bar{y})\in\bar{P}''\bar{Q}''}=1,$$

$$\overline{W}(\bar{x},\bar{y})\Big|_{(\bar{x},\bar{y})\in\bar{P}'\bar{P}''}=\overline{W}(\bar{x},\bar{y})\Big|_{(\bar{x},\bar{y})\in\bar{Q}'\bar{Q}''}=0.$$

Ясно, что $w(x,y)=\bar{w}(\bar{x},\bar{y})$, (6)

где (x,y) и $(\bar{x},\bar{y})$ связаны формулами (4)

Проводя рассуждения, аналогичные /5/, получаем следующее выражение для функций $\overline{W}(\bar{x},\bar{y})$:

$$\overline{W}(\bar{x},\bar{y})=2-\frac{1}{\pi}\Big[\operatorname{arctg}\frac{\beta+\bar{y}}{\alpha+\bar{x}}+\operatorname{arctg}\frac{\beta+\bar{y}}{\alpha-\bar{x}}+ \tag{7}$$

$$+\operatorname{arctg}\frac{\beta-\bar{y}}{\alpha-\bar{x}}+\operatorname{arctg}\frac{\beta-\bar{y}}{\alpha-\bar{x}}+2\operatorname{arctg}\frac{\alpha}{\beta}\Big].$$

Исходя из последней формулы, можно найти, что

$$\overline{W}'(\bar{x},0)=\frac{-4\alpha\beta\bar{x}}{\pi[(\alpha+\bar{x})^2+\beta^2][(\alpha-\bar{x})^2]}$$

Так как $\overline{W}'(\bar{x},0)>0$ при $\bar{x}<0$, $\overline{W}'(0,0)=0$ и $\overline{W}'(\bar{x},0)<0$ при $\bar{x}>0$, точка $(0,0)$ является точкой максимума исходной функции на отрезке $\bar{P}\bar{Q}$.

Отсюда и из (6) следует, что

$$\max_{x \in PQ} W(0,0) = \frac{2}{\pi} \operatorname{arctg} \frac{\alpha}{\beta}.$$

Далее, учитывая (5), окончательно получим

$$\theta = \frac{2}{\pi} \operatorname{arctg} \frac{e^{\frac{\pi a}{b}} - 1}{2e^{\frac{\pi a}{b}}}.$$

Поступила 30.III.1983

Кафедра математического обеспечения ЭВМ

ЛИТЕРАТУРА

1. Р.Курант, Д.Гильберт. Методы математической физики, т.II, М., 1953.

2. Л.В.Канторович, В.И.Крылов. Приближенные методы высшего анализа. М.-Л., 1962.

3. Д.Г.Гордезиани. О методах решения одного класса нелокальных краевых задач. Тбилиси, ТГУ, 1981.

4. K.Miller, Numerical analogs to the Schwarz Alternating Procedure, Numerische Mathematik 7, 91-103 (1965).

5. А.В.Бицадзе, А.А.Самарский. О некоторых простейших обобщениях линейных эллиптических задач. ДАН СССР, 1969, 185, 4, 739-740.

6. С.К. Годунов. Уравнения математической физики, М., 1979.

7. М.А.Лаврентьев, Б.В.Шабат. Методы теории функций комплексного переменного. М., 1958.

ი.ბლიაძე

შვარცის განზოგადოებულ ლემაში q მუდმივას შეფასების შესახებ

რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომში მოცემულია შვარცის ლემასა და ზოგიერთ მის განზოგადოებაში შემავალი q მუდმივას შეფასების მეთოდიკა ნებისმიერი ბრტყელი არისათვის.აღწერილი მეთოდიკის გამოყენებით მუდმივას შეფასებები მიღებულია ცხადად ზოგიერთ მართკუთხოვან არეში.მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევენ შევაფასოთ მონათესავე იტერაციული მეთოდების კრებადობის სიჩქარე ელიფსური ტიპის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისას.

I. Bliadze

ON THE ESTIMATION OF q CONSTANT IN A GENERALIZED SCHWARZ LEMMA

Summary

The paper presents a method for estimating the q constant involved in the Schwarz lemma and in some of its generalizations, for any plane area. Using the method described, estimations of the constant have been obtained explicity in some rectangular domains The results obtained permit to estimate the rate of convergence of cognate iteration methods in solving elliptic boundary problems.



Рис.I.



Рис.2.



Рис.3.



Рис.4.



Рис.5.

Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени
государственного университета
თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები
251, 1984

К ВОПРОСУ ОПТИМИЗАЦИИ РЕЖИМОВ ЭНЕРГОСИСТЕМЫ, ВКЛЮЧАЮЩЕЙ КАСКАДЫ ГЭС

М.А.Бенашвили, Л.В.Шенгелия

Оптимизация суточных режимов крупных энергосистем и энергообъединений является одной из наиболее сложных оптимизационных задач современной энергетики. Нелинейность расходных характеристик электростанций и других зависимостей, учитывающих сетевые факторы или ущербы потребителей при наличии дефицита электроэнергии, а также большое количество переменных и разнотипных ограничений-неравенств обусловливает трудности выбора метода оптимизации, алгоритмизации и практического применения средств вычислительной техники /I/.

Однако существенное усложнение задачи обычно вызывается необходимостью учета ряда специфических для конкретной энергосистемы факторов, которые имеют локальный характер и поэтому в локальном смысле учитываются относительно легко. Поэтому при необходимости учета факторов локального типа весьма эффективными оказываются методы оптимизации режима в целом, основанные на локализации групп переменных /2,3/.

В настоящей работе приводятся метод и алгоритм учета одного из наиболее сложных дополнительных факторов - ограничений по каскадным связям между ГЭС, при оптимизации суточного режима энергосистемы в целом.

Пусть m - общее число регулируемых ГЭС и ТЭС составляет каскад ($K = m$). Будут учтены два главных ограничения, обусловленные взаимозависимостью ГЭС каскада:

1) по времени добегания воды;

2) по допустимым пределам изменения уровней воды в промежуточных водохранилищах.

Дополнительная приточность и попуски воды на ирригацию могут быть легко учтены в виде наперед заданных (прогнозируемых) постоянных.

Рассматривается общепринятая дискретная постановка задачи для регулируемых ГЭС, n регулируемых ТЭС и суток, разбитых на 24 почасовых интервала длительностью Δt =I час. Для j-ой ГЭС каскада (j =I,2,... K ; $K \subset m$) и интервала $\mathcal{T}$ ($\mathcal{T}$ =I,2,... 24) вводятся обозначения:

$W_j^{\mathcal{T}}$ - приток воды в водохранилище j-ой ГЭС, поступающей из водохранилища предыдущей, $j-1$ -ой ГЭС;

$V_{j(min)}, V_{j(max)}$ - верхний и нижний допустимые пределы объема воды в водохранилище j-ой ГЭС соответственно;

t_j - время добегания воды в часах от $j-1$ -ой ГЭС до водохранилища j-ой ГЭС ($t_j \leq 24$);

$P_j^{\mathcal{T}}$ - мощность j-ой ГЭС;

$Q_j^{\mathcal{T}}$ - расход воды j-ой ГЭС в интервале $\mathcal{T}$;

$Q_{j(min)}$ и $Q_{j(max)}$ - минимальное и максимальное допустимые значения соответственно.

Ограничения-неравенства по балансу активных мощностей всей системы можно записать в следующем виде:

$$\sum_{j=1}^{K} P_j^{\tau} + \sum_{j=1}^{m-K} P_j^{\tau} + \sum_{i=1}^{n} P_{T_i}^{\tau} = C^{\tau} + \Pi^{\tau}, \tag{I}$$

где P_j^{τ} – мощность j-ой ГЭС каскада в интервале τ; P_j^{τ} – мощность j-ой ГЭС, не входящей в каскад; C^{τ} – постоянная составляющая, учитывающая нагрузку потребителей, перетоки и нагрузку нерегулируемых электростанций; Π^{τ} – потери в сети.

Ограничения-неравенства по заданному объему расходуемой воды на ГЭС, не входящих в каскад, имеют вид

$$\sum_{j=1}^{24} \bar{Q}_j^{\tau} \Delta t = \bar{v}_j^{24} - \bar{v}_j^{1}, \tag{2}$$

а для j-ой каскадной ГЭС:

$$\sum_{j=1}^{24} Q_j^{\tau} \Delta t = \sum_{\tau=1}^{24} w_j^{\tau} \Delta t + v_j^{24} - v_j^{1}. \tag{3}$$

Но приток воды j-ой ГЭС w_j^{τ} из водохранилища j-ой ГЭС равен расходу последней Q_{j-1} с задержкой t_j, поэтому ограничение (3) можно записать в виде

$$\sum_{j=1}^{24} Q_j^{\tau} \Delta t = \sum_{j=1}^{24-t_j} Q_{j-1}^{\tau} \Delta t + v_j^{24} - v_j^{1}. \tag{3a}$$

Помимо ограничений-неравенств по допустимым пределам изменения мощностей (2) (3) имеются ограничения по допустимым уровням сработки водохранилищ:

$$v_{j(min)} < v_j < v_{j(max)} \tag{4}$$

для всех ГЭС. Учет этих ограничений для каскадных ГЭС значительно более затруднен, чем для обычных ГЭС; тем не менее для учета (4) в специфических условиях каскада применяем тот же принцип, который был предложен для обычных ГЭС /2,3/.

Для этого предварительно, для исходного допустимого приближения задачи оптимизаций энергосистемы в целом, строится матрица почасовых значений объемов воды в водохранилищах для всех ГЭС каскада, с учетом факторов I и 2:

$$V = \left| \begin{matrix} v_1^1, v_2^1, \ldots v_{j-1}^1, v_j^1, \ldots v_k^1 \\ v_1^2, v_2^2, \ldots v_{j-1}^2, v_j^2, \ldots v_k^2 \\ v_1^{24}, v_2^{24}, \ldots v_{j-1}^{24}, v_j^{24}, \ldots v_k^{24} \end{matrix} \right| \qquad Q = \left| \begin{matrix} Q_1^1, Q_2^1 \cdots Q_{j-1}^1, Q_j^1 \cdots Q_k^1 \\ Q_1^2, Q_2^2 \cdots Q_{j-1}^2, Q_j^2 \cdots Q_k^2 \\ Q_1^{24}, Q_2^{24} \cdots Q_{j-1}^{24}, Q_j^{24} \cdots Q_k^{24} \end{matrix} \right|$$

Будем предполагать, что соответствующий алгоритм оптимизации режима в целом построен таким образом, что в процессе перехода к новому приближению изменяется минимально возможное число переменных. Согласно такому алгоритму рассматривается одновременное изменение только двух элементов матрицы Q – расхода воды одной и той же ГЭС в двух разных интервалах времени, например, Q_j^α и Q_j^β $(\alpha \neq \beta)$. При этом изменяются и соответствующие элементы матрицы V /2/. При наличии каскадных связей изменение двух элементов матрицы Q вызывает несколько более сложные преобразования матрицы V.

Действительно, рассмотрим следующий пример: пусть $\alpha = 1$; $\beta = 0$; $t_j = 3$ часа. В качестве независимой переменной примем Q_{j-1}^1 и зададим ей приращение $+\Delta Q$. Тогда, во избежание нарушения (3), для $j-1$ -ой ГЭС необходимо уменьшить Q_{j-1}^5 на ΔQ. Матрица V соответственно примет вид, приведенный на стр. 183.

Уменьшение объемов воды в водохранилищах $j-1$ -ой ГЭС в интервалах $\alpha+1, \alpha+2, \cdots \beta$ на ΔQ вызвано увеличением расхода Q_{j-1} на ΔQ, а увеличение на ΔV v_j^5, v_j^6, v_j^7 и v_j^8 вызвано увеличением притока в $\alpha + t_j$ -ом интервале $(\alpha + t_j = 4)$

$$
V = \left|\begin{array}{ccccc}
v_1^1, & v_2^1, \ldots & v_{j-1}^1 & v_j^1 & , v_k^1 \\
v_2^1, & v_2^2, \ldots & v_{j-1}^2-\Delta v, & v_j^2 & , v_k^2 \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^3-\Delta v, & v_j^3 & , \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^4-\Delta v, & v_j^4 & , \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^5-\Delta v, & v_j^5+\Delta v, & \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^6 & , v_j^6+\Delta v, & \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^7 & , v_j^7+\Delta v, & \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^8 & , v_{j-1}^8+\Delta v, & \cdot \\
\cdot & \cdot & v_{j-1}^9 & , v_{j-1}^9+\Delta v, & \cdot
\end{array}\right|
$$

на ΔQ, которое длится $\beta-\alpha=4$ часа со сдвигом по времени $t_j=3$ часа.

Алгоритм учета каскадной связи включает три процедуры:

I. Вычисление $v_{j-1}^{\sigma}-\Delta v$ для $\sigma=\alpha+1, \alpha+2, \ldots \beta$ путем вычитания ΔQ из v_{j-1}^{σ};

2. Вычисление $v_{j-1}^{\sigma}+\Delta v$ для $\sigma=\alpha+1+t_j, \alpha+2+t_j \ldots$ путем сложения v_j^{σ} и Δv;

3. Проверку ограничений (4) для вычисленных на этапах I и 2 величин

$$v_{j-1}^{\sigma}-\Delta v \geq v_{j-1(min)}, \tag{4а}$$

$$v_{j-1}^{\sigma}+\Delta v \leq v_{j(max)} \tag{4б}$$

и при нарушении (4а) или (4б) - передачу управления на прекращение изменения независимой переменной Q_j^{α} в положительном направлении для данной парной комбинации часов $\alpha=1$ и $\beta=5$.

При выполнении условий (4а) и (4б) вычисления продолжаются по основному алгоритму оптимизации /2,3/, т.е. новое приближение принимается допустимым.

Аналогично производятся вычисления по вспомогательному алгоритму учета каскадных связей для всех пар интервалов и всех ГЭС каскада.

Сравнительная простота вышеприведенной методики и алгоритма учета каскадных связей обусловлена тем, что основной алгоритм оптимизации позволяет производить переход к новому приближению путем изменения только двух величин Q_j^{α} и Q_j^{β} при полном переборе $\langle\alpha,\beta\rangle$ и j.

Покажем, что отказ от дальнейшего спуска по координате $Q_j^{\alpha-1}$ в положительном направлении из-за нарушения (4а) не приводит к игнорированию какого-либо изолированного подмножества множества точек допустимой области для комбинации часов $\alpha=1$, $\beta=5$.

1. Допустим, что условие (4а) нарушено только для $V_{j-1}^{1}-\Delta V$, т.е. $V_{j-1}^{1}-\Delta V<V_{j-1(m)}$, причем, согласно (5), α принимает одно из значений: 2,3, 4 или 5. Тогда, для возврата в допустимую область необходимо уменьшить расход воды в одном из интервалов, предшествующих α, по крайней мере на ΔQ.

Но в процессе полного перебора парных комбинаций интервалов по основному алгоритму оптимизации все интервалы, предшествующие α будут перебраны совместно с Q_j^{β}, поэтому все точки допустимой области, образуемые комбинациями Q_j^{α} с Q_j^{β}, где $\beta=1,2,\dots\alpha-1$, не окажутся игнорированными.

2. Допустим, что условие (4а) нарушено для двух или нескольких элементов $j-1$ -го столбца матрицы V, т.е.

$$V_{j-1}^{\alpha} - \Delta V < V.$$

Тогда для возвращения в допустимую область следует уменьшить расходы воды в двух или нескольких интервалах, предшествующих α, γ и т.д., но такие точки допустимой области будут перебраны в процессе полного попарного перебора интервалов.

3. Пусть условие (4а) нарушено только для $V_j^1 + \Delta V$, т.е. $V_j^{\alpha} + \Delta V > V_{j\,max}$, причем, α принимает одно из значений: 5,6,7 или 8. Если бы холостой слив воды был неизбежен, то такой слив имел бы место и в исходном приближении, поэтому предполагаем, что нарушения (4б) можно избежать. Устранить вышеуказанный слив можно двумя путями: а) увеличением расхода воды j-ой ГЭС, по крайней мере, на ΔQ в одном из интервалов, предшествующих $\alpha - t_j$, б) уменьшением расхода предыдущей $j-1$-ой ГЭС и по крайней мере на ΔQ в одном из предшествующих $\alpha - t_j$ интервалов.

Первый путь ввода в допустимую область связан с перебором допустимых значений Q_j^{α} и, например, Q_j^{γ}, где $\gamma < \alpha$, что предусмотрено в вычислительной схеме основного алгоритма для j-ой ГЭС.

Второй путь ввода в допустимую область связан с перераспределением нагрузки $j-1$-ой ГЭС и аналогичен рассмотренным случаям I и 2.

Таким образом, предложенный алгоритм позволяет учесть рассмотренные выше каскадные ограничения без игнорирования каких-либо точек допустимой области, но следует отметить, что при учете разрывов характеристик ГЭС этот вопрос требует дополнительного исследования.

Рассмотренный метод построения матрицы V может быть использован и для большого числа каскадных ГЭС, при этом изменение элементов матрицы V, вызванные изменением Q_j^{α} и Q_j^{β}, будут иметь цепной характер, как и в матрице (5) - слева направо и сверху вниз. Предполагается что ГЭС нумеруются в той естественной последовательности, в которой они расположены по стоку реки.

Поступила 8.XI.1982

Грузинский политехнический институт им. В.И.Ленина

ЛИТЕРАТУРА

1. В.А.Веников, В.Г.Журавлев, Т.А.Филиппова. Оптимизация режимов электростанций и энергосистем, М., 1981.
2. Н.В. Габашвили, М.А.Бенашвили. Новая методика расчета на ЦВМ оптимального суточного распределения активных нагрузок в энергосистеме. Труды проблемной лаборатории АВТ ГПИ им. В.И.Ленина, Тбилиси, 1967.
3. М.А.Бенашвили. Алгоритмическая реализация динамической модели оптимального суточного планирования режимов энергосистем. Труды ГрузНИИЭГС, вып. 3, М., 1976.

მ.ბენაშვილი, ლ.შენგელია

ჰესების კასკადების შემცველი ენერგოსისტემის
რეჟიმების ოპტიმიზაციის საკითხები

რ ე ზ ი უ მ ე

გამოყენებულია მთლიანი ენერგოსისტემის ოპტიმიზაციის დროს სპეციფიკური კასკადური შეზღუდვების – ტალღის და შუალედურ წყალსაცავთა დასაშვები დონეების გათვალისწინების მეთოდი.

M.Benashvili, I.Shengelia

PROBLEMS OF REGIME OPTIMIZATION OF POWER SYSTEMS INVOLVING CHAINS OF HYDRO-ELECTRIC POWER STATIONS

Summary

A method is proposed for taking into consideration specific chain constraints in the optimization of an entire power system, i.e., the arrival of wave and the permissible levels of intermidiate storage reservoirs.

Труды Тбилисского ордена Трудового Красного Знамени государственного университета

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

251, 1984

სტატისტიკური ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი

თ. წილოსანი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სტატისტიკური ლექსიკოგრაფიის საგანს წარმოადგენს სიხშირითი ლექსიკონების შედგენა და გამოყენება. სიხშირითი ლექსიკონი ყველა სხვა ტიპის ლექსიკონებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი შეიცავს მხოლოდ იმ „სიტყვებს" („სიტყვის" ქვეშ იგულისხმება ყოველივე ის, რაც მოთავსებულია ტექსტის ორ წინასწარ ფიქსირებულ ელემენტს შორის), რომლებიც დაფიქსირებულია შემდგენლის მიერ. ამასთან ერთად სიხშირით ლექსიკონებში მითითებულია ამ „სიტყვების" აბსოლუტური სიხშირეები ანუ რიცხვები, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რამდენჯერ შეგვხვდნენ ისინი დამუშავებულ ტექსტებში (მასივებში).

ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო იზრდება სიხშირითი ლექსიკონების გამოყენებისადმი მოთხოვნილება მეცნიერებასა და განათლების სფეროში. ფილოლოგი სიხშირით ლექსიკონში პოულობს მისთვის საინტერესო მასალას ტიპოლოგიური გამოკვლევებისათვის, შესაბამისი ლინგვისტური ერთეულების ხმარების ანალიზისათვის სხვადასხვა ენებში, ერთი ან რამოდენიმე ავტორის ნაწარმოებებში. ენის მასწავლებელი სიხშირით ლექსიკონში ეძებს ობიექტურად შერჩეულ სას-

წაეღო მასალას. ზუსტი და საინჟინრო მეცნიერებათა წარმომადგენელი სიხშირით ლექსიკონს იყენებს ლინგვისტური ელემენტების შესახებ სტატისტიკური ცნობების მისაღებად, რათა უზრუნველყოს შეტყობინებათა ეფექტური გადაცემა შესაბამისი არხების საშუალებით. ენობრივი ინფორმაციის ავტომატური გადამუშავების დარგში მომუშავე სპეციალისტები ეყრდნობიან დარგობრივი ენების რაოდენობრივი აღწერის შედეგებს, რაც მათ დიდ სამსახურს უწევს ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით ტექსტების ძებნისა და რეფერირების სისტემების შექმნაში. ბგერებისა და ასოთა სტატისტიკა, მიღებული სიხშირითი ლექსიკონის დახმარებით, გამოიყენება ახალი, ექსპერიმენტული ანბანების შესაქმნელად.

მზარდი ინტერესი სიხშირითი ლექსიკონებისა და საერთოდ, რაოდენობრივი ლინგვისტიკისადმი კანონზომიერია. იგი წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების „მათემატიზაციის“ საერთო პროცესის ერთ-ერთ ნაწილს.

სტატისტიკური ლექსიკოგრაფიის განვითარება დიდადაა დამოკიდებული განზოგადებული ხასიათის ნაშრომების გამოჩენაზე. თვით სიხშირითი ლექსიკონების გამოცემა ხდება მცირერიცხოვანი ტირაჟებით. ახალი ნაშრომების შესახებ არსებული ინფორმაცია გაბნეულია სპეციალისტთა ფართო წრისათვის ძნელად მისაწვდომ გამოცემებში. ყოველივე ამას მივყევართ საკმაოდ არასასიამოვნო სიტუაციამდე, როდესაც თითქმის ყველამ იცის სიხშირითი ლექსიკონის არსებობის შესახებ, მაგრამ ძალზე ცოტას თუ აქვს სრული წარმოდგენა მასზე, მისი გამოყენების, მისით სარგებლობის პერსპექტივებზე.

სიხშირითი ლექსიკონების შედგენა, კლასიფიკაცია და გამოყენება არ მოითხოვს განსაკუთრებულ მათემატიკურ მომზადებას. ყოველთვის არაა საჭირო აღძრული პრობლემების სპეციალური თეორიული დასაბუთება. უმეტეს შემთხვევაში მათი ხასიათი ლინგვისტური თვალ-

საზრისით საცსებით ბუნებრივია და ამიტომაც მათი გადაწყვეტა ხდება „საღი აზროვნების“ პოზიციიდან.

სიხშირითი ლექსიკონის სტრუქტურის შესახებ ელემენტარული წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილოთ უბრალო მაგალითი.

ჩვენი შესავლის ტექსტი შეიცავს 276 სიტყვაფორმას. მათგან ყველაზე მეტი (43) იწყება ასო ს-თი. შვიდი სხვადასხვა ასოთი (ვ, ჟ, ღ, ჩ, ჭ, ჯ, ჰ) დაწყებული სიტყვაფორმები შესავლის ტექსტში საერთოდ არ გვხვდება. განსხვავებულ სიტყვაფორმათა რაოდენობა ტოლია 228-ის, მეორდება 27 სიტყვაფორმა. ამათგან ზოგიერთი მეორდება რამდენიმეჯერ, ზოგი კი მხოლოდ ერთხელ. 249 სიტყვაფორმა შესავლის ტექსტში მხოლოდ თითოჯერ გვხვდება. სიტყვაფორმათა ხმარების მაქსიმალური აბსოლუტური სიხშირე განხილულ ტექსტში ტოლია 9-ის (კავშირი „და“ შესავლის ტექსტში მეორდება ცხრაჯერ).

შესავლის სიხშირითი ლექსიკონის მისაღებად შეგვიძლია სიტყვაფორმების დალაგება კლებადი აბსოლუტური სიხშირეების მიხედვით (სია №I). ამით ჩვენ მივიღებთ სიხშირითი ლექსიკონის ე.წ. სიხშირულ ვარიანტს.

სია №I

№	სიტყვაფორმა	აბსოლუტური სიხშირე
I	და	9
2	სიხშირითი	8
3	ლექსიკონების	5
4	სიხშირით	4
5-7	ლინგვისტური	
	სტატისტიკური	
	შესახებ	3

და ა.შ. სტატისტიკური ინფორმაცის დანარჩენი სიტყვაფორმების შესახებ შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად: 8-27 სიტყვაფორმები აბსოლუტური სიხშირეებით 2 შეგვხვდა 20-ჯერ, 28-228 სიტყვაფორმები აბსოლუტური სიხშირეებით I შეგვხვდა 20I-ჯერ.

იგივე „ლექსიკონი", წარმოდგენილი ალფაბეტური მიმდევრობით მოგვცემს სიხშირითი ლექსიკონის ე.წ. ალფაბეტურ-სიხშირულ ვარიანტს (სია №2).

სია №2

სიტყვაფორმა	აბსოლუტური სიხშირე
აბსოლუტური	I
ავტომატური	I
ავტორის	I
აზროვნების	I
ახალი	2
ბგერებისა	I
ბუნებრივია	I
გაბნეულია	I
გამოყენება	2
და	9
ლექსიკოგრაფიის	2.

სიტყვაფორმა	აბსოლუტური სიხშირე
ლექსიკონების	5
--------	---
--------	---
რამდენჯერ	I
--------	--- და ა.შ.

აბსოლუტური სიხშირეების ტექსტის სიგრძეზე (ჩვენ შემთხვევა-ში 276-ზე) გაყოფით ჩვენ მივიღებთ სიტყვაფორმათა ფარდობით სიხ-შირეებს. ასე მაგალითად, „და"-ს ფარდობითი სიხშირე ტოლია 0,033, „სიხშირითი"-ს 0,029, „ლექსიკონების" ფარდობითი სიხშირე ტოლია 0,018, „სიხშირით"-ის 0,014, სიტყვაფორმების „ლინგვისტური", „სტატისტიკური", „შესახებ" ფარდობითი სიხშირეები ერთნაირია და ტოლია 0,011 და ა.შ. თუ სიის მიხედვით მიმდევრობით შევკრებთ სიტყვაფორმათა ფარდობით სიხიშეებს, მივიღებთ ე.წ. დაგროვილ ფარდობით სიხშირეს თითოეული სიტყვაფორმისათვის: „და"-სთვის 0,033, „სიხშირითი"-სთვის 0,062, „ლექსიკონების" - თვის 0,080, „სიხშირით"-ისთვის 0,094, „შესახებ"-ისთვის 0,094 + 3.0,011 = 0,127 და ა.შ. ამრიგად, ჩვენ საშუალება გვეძლევა განვსაზღვროთ, თუ რა წილი უკავია დამუშავებულ ტექსტში ცალკეულ სიტყვაფორმას ან სიტყვაფორმათა ნებისმიერ, წინასწარ განსაზღვრულ ერთობლიობას. ასე, მაგალითად, ჩვენს მიერ შედგენილი „ლექსიკონის" სიხშირული ვარიანტის პირველი (ყველაზე ხშირი) სიტყვა-ფორმა „და" იკავებს (ან როგორც ხშირად ამბობენ „ფარავს") მთელი ტექსტის 3,3%-ს, პირველი ორი სიტყვაფორმა („და" და „სიხშირითი") ერთად 6,2%-ს, პირველი შვიდი სიტყვაფორმა 12,7%-ს და ა.შ. მიღებული შედეგი მი-გვითითებს იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც სიხშირითი ლექსიკონები

იძლევიან ენის შესწავლისას ან ინფორმაციის ავტომატურად გადამუშავებისას.იგივე შედეგი დაგვეხმარება ჩვენ იმ ლექსიკური ზონების დადგენაში, რომლებიც პირველხარისხოვან როლს ასრულებენ ტექსტების წარმოქმნისას.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სიხშირითი ლექსიკონების საერთო რაოდენობა სამოციანი წლებისათვის აღწევცა 300-ს.1975 წლისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა 500-მდე. ამჟამად მათი საერთო რაოდენობა 800-ს უახლოვდება. ყოველი მათგანი, რა თქმა უნდა, ინარჩუნებს თავისი დანიშნულების მთავარ ნიშანს – მათში მითითებულია შემავალი ელემენტების აბსოლუტური ან ფარდობითი სიხშირეები.

რამდენადაც ცნობილია, სიხშირითი ლექსიკონები შედგენილია 30-მდე სხვადასხვა ენისათვის. ყველაზე მეტი სიხშირითი ლექსიკონი მოდის ინგლისურ ენაზე.და საერთოდ, სტატისტიკური ლექსიკოგრაფია თავის არსებობას უნდა უმადლოდეს სწორედ ინგლისურ ენაში ქვანტიტატურ გამოკვლევებს. სიხშირითი ლექსიკონები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.ამიტომ, ბუნებრივია ხაზგასმით გამოვყოთ ძირითადი ტიპები და აღვწეროთ მათთვის დამახასიათებელი უმთავრესი შინაარსობრივი და ფორმალური ნიშნები.

სიხშირით ლექსიკონებში შემავალი ერთეულების განლაგება, როგორც წესი, ხდება ორი ძირითადი პრინციპით: ალფაბეტის მიხედვით და კლებად სიხშირეთა მიხედვით. წიგნად გამოცემული სიხშირითი ლექსიკონების უმეტესობაში ლექსიკონური ერთეულები განლაგებულნი არიან ალფაბეტის მიხედვით, შესაბამისი სიხშირეების მითითებით. სიხშირითი განლაგება გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც არ ხერხდება ლექსიკონის ცალკე წიგნად გამოცემა და შემდგენელი იძულებულია მოათავსოს სიაში ლექსიკონურ ერთეულთა შეზღუდული რაოდენობა (ასეთ შემთხვევაში სიხშირითი ლექსიკონი შე-

იცავს დამუშავებულ მასივებში მხოლოდ განსაკუთრებით ხშირად შეხვედრილ ლექსიკურ ერთეულებს). ზოგიერთ ლექსიკონში მოყვანილია ორივე სია – როგორც სიხშირითი, ასევე ალფაბეტურიც.

უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ სიხშირით ლექსიკონთა ნაწილი ალფაბეტურ-სიხშირულ და სიხშირულ სიებთან ერთად შეიცავს აგრეთვე სიას, რომელშიც ლექსიკონური ერთეულები განლაგებულნი არიან არა პირველი, მეორე და ა.შ. ასოების მიხედვით მათი დასაწყისიდან, არამედ პირველი, მეორე და ა.შ. ასოების მიხედვით მათი (ლექსიკონური ერთეულების) ბოლოდან. ამგვარად, სიხშირითი ლექსიკონის ერთეულთა განლაგება შეიძლება იყოს როგორც „პირდაპირი“, ასევე „შებრუნებულიც“.

ხანდახან სიხშირითი ლექსიკონი ერთეულთა საერთო სიებთან ერთად შეიცავს მათ დამატებით სიებს, რომლებიც განკუთვნილნი არიან, მაგალითად, მეტყველების ნაწილების, დამუშავებული მასივების თემატური ქვემასივების და ა.შ. კლასიფიკაციისათვის.

სიხშირითი ლექსიკონის სიტყვარი შეიცავს დამუშავებულ მასივებში არსებულ ლექსიკონური ერთეულების სრულ ნუსხას ან მათ გარკვეულ (შედარებით ხშირად ხმარებულ) ნაწილს. ამასთან დაკავშირებით, სიხშირითი ლექსიკონი შეიძლება იყოს სრული ან არასრული. გამოქვეყნებულ სიხშირით ლექსიკონთა უმეტესობა, როგორც წესი, არასრულია. სიხშირითი ლექსიკონის კართოტეკა შეიცავს იშვიათად ხმარებული ერთეულების დიდ რაოდენობას. იმ ერთეულთა რაოდენობა, რომლებიც მასივში თითოჯერ გვხვდებიან, ხშირად აღემატება ან უტოლდება ერთეულთა საერთო რაოდენობის ნახევარს. განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც წესი, იქცევს, რა თქმა უნდა, სიხშირითი ლექსიკონის ზედა, ხშირად ხმარებულ ლექსიკონურ ერთეულთა ზონა. ამიტომ ავტორი ან ავტორთა ჯგუფი გამოსაქვეყნებელი სიტყვარის მოცულობის საკითხს წყვეტს იმის მიხედვით, თუ რა მიზანს უნდა ემსახუროს მისი სიხშირითი ლექსიკონი ან იმის მიხედვით, თუ რა ნაწი-

ლის გამოქვეყნების საშუალებას აძლევს მას გამომცემლობა (იგულისხმება ნაბეჭდ გვერდთა ის რაოდენობა, რომელზედაც უნდა მოთავსდეს ჩატარებული სამუშაოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი).

ამგვარად, როგორც წესი, გამოქვეყნებული სიხშირითი ლექსიკონებისა და სიხშირითი სიების უმრავლესობა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არასრულია.

სიხშირითი ლექსიკონის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს დამუშავებული ტექსტების საერთო სიგრძე, ანუ თუ მივმართავთ სტატისტიკურ ტერმინოლოგიას, ამორჩეული ტექსტების (ამონარჩევის) მოცულობა, რადგან სიხშირული ლექსიკონის საიმედობა და აქედან გამომდინარე მისი ვარგისიანობაც, როგორც წესი, განისაზღვრება იმ მასალის მოცულობით, რომელიც გაანალიზებულია ლექსიკონის შედგენისას. ამონარჩევის მოცულობა შეიცავს დაფიქსირებული ლექსიკური ერთეულების გამეორების ყველა შემთხვევას და გამომდინარე აქედან, ტოლია ამ ერთეულების აბსოლუტური სიხშირეების ჯამისა. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ ამონარჩევის მოცულობა ტოლია, მაგალითად, 500000 სიტყვაფორმისა, თუ სიხშირითი ლექსიკონის შემდგენლის მიერ ამ მოცულობიდან ამორჩეულია მხოლოდ 100000 სიტყვაფორმა, ანუ თუ ჯამური აბსოლუტური სიხშირე ყველა (და არა მარტო გამოქვეყნებული) ლექსიკური ერთეულისათვის ტოლია 100000. ეს უკანასკნელი რიცხვი უნდა განსაზღვრავდეს კიდეც ამონარჩევის მოცულობას. დღემდე გამოქვეყნებული სიხშირითი ლექსიკონები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ამონარჩევის მოცულობებით. სიხშირითი ლექსიკონთა უმეტესი რაოდენობის ამონარჩევის მოცულობა არ აღემატება 25-50 ათას სიტყვაფორმას. გვხვდებიან აგრეთვე სიხშირითი ლექსიკონები, რომელთა ამონარჩევის მოცულობა ტოლია ან მეტი 1.000000 სიტყვაფორმისა. ასეთ სიხშირით ლექსიკონთა საერთო რიცხვი არ აღემატება ორ ათეულს. მათ შორის სულ რამოდენიმეა ისეთი, რომელიც დაფუძნებულია ერთ მილიონზე გაცი-

ლებით მეტ სიტყვაფორმაზე.

ამონარჩევის მოცულობის დადგენას განსაზღვრავს უპირველეს ყოვლისა, შემდგენლის (შემდგენელი კოლექტივის) ფიზიკური შესაძლებლობა. ვიცით რა, რომ რაც მეტია ამონარჩევის მოცულობა, მით საიმედოა სიხშირითი ლექსიკონის მონაცემები, ჩვენ მაინც იძულებულნი ვართ განვსაზღვროთ ეს მოცულობა იმგვარად, რომ დაწყებული სამუშაო დროულად დამთავრდეს. მიუხედავად იმისა, რომ მილიონიანი მასივი არც თუ ისე დიდია, როდესაც ჩვენ მიზნად ვისახავთ საერთო სალიტერატურო ენის ძირითად ხმარებული ლექსიკის გამოვლენას, ასეთი მასივების დამუშავება ძალუძთ მხოლოდ საკმაოდ დიდ კოლექტივებს (პლუს გამოთვლითი ტექნიკა), რომელთა ორგანიზება ასეთი სამუშაოსათვის საკმაოდ ძნელია.

პირველ რიგში უნდა გამოვყოთ მეტყველების წერითი და ზეპირი ფორმები, რომლებიც აღიწერებიან სიხშირითი ლექსიკონების საშუალებით. ზეპირი მეტყველების მიხედვით შექმნილი სიხშირითი ლექსიკონების რაოდენობა ძალზედ მცირეა (მათი რიცხვი არ აღემატება ათს). არის შემთხვევები, როდესაც სიხშირით ლექსიკონებს ადგენენ მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟების დიალოგების მიხედვით. ასეთ ვარიანტს მიმართავენ მაშინ, როდესაც არ არის საშუალება შესწავლილ იქნას „ცოცხალი" ზეპირი მეტყველება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევას, როდესაც დიალოგი არ არის გამიზნული დამატებითი მსმენელისათვის (დიალოგის ჩაწერა ხდება ისეთნაირად, რომ მოსაუბრეებმა ამის შესახებ არაფერი იციან). ამ. ტიპის მასალაზე შექმნილი სიხშირითი ლექსიკონების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა (არ აღემატება ხუთს), დანარჩენი ხუთი ზემოდ აღნიშნული ათი ლექსიკონიდან შედგენილია ჩაწერილი ინტერვიუს მასალებზე, როდესაც ექსპერიმენტატორი აკვირდება ცდის ტიპის რეაქციას მოცემულ წინასწარ გამიზნულ შეკითხვაზე. ცოცხალი, მოუმზადებელი ზეპირი მეტყველება ლინგვისტების მიერ ნაკლებად არის შესწავლილი.

ზეპირი მეტყველების დამკვირვებელი ძირითადად აწყდება ეთიკურ-ფსიქოლოგიური ხასიათის დაბრკოლებებს. ამიტომ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილიც კია წიგნური სასაუბრო მეტყველების ლინგვისტური ანალიზი მეტყველების ხალასი, ზეპირი ფორმების ანალიზის ნაცვლად, აიხსნება არა იმდენად თეორიული მოსაზრებებით, რამდენადაც ზემოდ აღნიშნული ხასიათის სიძნელეებით, რომლებიც დამკვირვებელ-ექსპერიმენტატორისათვის ფაქტიურად ტექნიკური ხასიათის სიძნელეებს წარმოადგენენ.

წერით და ზეპირ მეტყველებას შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ე.წ. ეპისტოლარულ მეტყველებას, რომელიც თავისი ფორმით რა თქმა უნდა წერითია. წერილს სწერს ენის ყველა მატარებელი. პროფესიონალებიც კი მხატვრულ, საგაზეთო, საქმიან თუ სხვა ტიპის ტექსტებს ჰქმნიან ალბათ შედარებით მცირე რაოდენობით და მოცულობით, ვიდრე წერენ წერილებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი მოზრდილი ადამიანი მონაწილეობს მიმოწერაში, მაგრამ მათი ძალზედ მცირე ნაწილი ასრულებს აქტიურ როლს სხვა ტიპის ტექსტების შექმნაში. ამრიგად, ორმხრივ ენობრივ კომუნიკაციაში ეპისტოლარულ მეტყველებას მეორე ადგილი უკავია ზეპირი მეტყველების შემდეგ. ენის მატარებელთა უმრავლესობისათვის აქტიური მეტყველებითი მოღვაწეობა ამ ორი ფორმით განისაზღვრება. ორივე ფორმას, როგორც ზეპირს, ისე ეპისტოლარულს, გარკვეული, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა ახასიათებს ერთგვარი „დაუდევრობა". მოსაუბრე ან წერილის ავტორი ყოველთვის ვერ ახერხებს ან არ ცდილობს დაიცვას სტილისტიკისა თუ გრამატიკის ყველა მოთხოვნა, არ ზრუნავს ცალსახად შესაბამისი სიტყვების შერჩევაზე. როგორც წესი, ეს გამოწვეულია დროის უქონლობით. ხშირად ეს აიხსნება მოსაუბრეებს ან ადრესატებს შორის დამყარებული „მდგრადი" კავშირით, როდესაც მათ „კარგად" ესმით ერთმანეთის.

წერილების მიხედვით შედგენილ სიხშირით ლექსიკონთა რაოდენობაც საკმაოდ მცირეა. ზოგიერთი მათგანი შედგენილია არა იმდენად მეთოდური, რამდენადაც მეცნიერული მიზნებით; მათ ავტორებს აინტერესებდათ ენის რიგითი მატარებლების აქტიური ლექსიკის განსაკუთრებით ხშირად ხმარებული ბირთვის გამოვლენა.

მეტყველების ზეპირ და ეპისტოლარულ ფორმებს უპირისპირდება საკუთრივ წერითი ფორმა, წარმოდგენილი ისეთ ტექსტებში, რომლებშიც დაცულია საერთო სალიტერატურო ენობრივი ნორმები. მეტყველების ამ ფორმის მიხედვით შედგენილი სიხშირითი ლექსიკონები შეიძლება დავყოთ ე.წ. ზოგად და სპეციალურ ლექსიკონებად. ზოგადს მიეკუთვნებიან ის სიხშირითი ლექსიკონები, რომლების შემდგენელთა მიზანს წარმოადგენს ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში მეტ-ნაკლებად თანაბრად ხმარებული ლექსიკის გამოვლენა. ასეთი ლექსიკონებისათვის განკუთვნილი დასამუშავებელი ტექსტების მასივები უნდა მოიცავდნენ ნაწყვეტებს მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ლიტერატურიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან და რიგი სხვა წყაროებიდან. ზოგადი ტიპის სიხშირითი ლექსიკონის შედგენა უკიდურესად საპასუხისმგებლო საქმეა. შერჩეული ტექსტების ხასიათი პირდაპირ გავლენას ახდენს მისი სიტყვარის შიგთავსზე. ტექსტების ტენდენციურად შერჩევისას სიხშირითი ლექსიკონი კარგავს ზოგადურობას, იგი აღარ წარმოგვიდგენს საერთო სალიტერატურო ლექსიკას. იგი გადაიქცევა სპეციალურ (ისიც ნაწილობრივ) სიხშირით ლექსიკონად.

სპეციალური ტიპის სიხშირითი ლექსიკონებს შორის დაყოფა ხდება იმ ფუნქციონალური სტილის მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნებიან მათი შედგენისას დამუშავებული ტექსტები. ამჟამად შედგენილი სპეციალური სიხშირითი ლექსიკონების უმეტესობა დაფუძნებულია საგაზეთო და სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტებიდან შერჩეული მასივებზე. ამათგან საგაზეთო ტექსტებზე დაფუძნებული ლექსიკონების საერთო რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება სამეცნიერო-ტექნიკური

ტექსტების მიხედვით შედგენილ ლექსიკონების რაოდენობას.

გაზეთს, როგორც მასობრივი ინფორმაციის წყაროს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეტყველების ჩამოყალიბების, განვითარებისა და დაფუძნების საქმეში. საგაზეთო ტექსტი სხვა ტიპის ტექსტებისაგან განსხვავდება რიგი თავისებურებებით. როგორც წესი, გაზეთზე მოდის მთელი ნაბეჭდი პროდუქციის მოცულობის უდიდესი ნაწილი. მას ჰყავს მასიური ავტორიც და მასიური მკითხველიც. ყოველივე ამის გამო გაზეთი ახდენს ძლიერ ზემოქმედებას ენის მატარებელთა კოლექტივის მეტყველებაზე, აფუძნებს მასში გარკვეულ ნორმას (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ეს პროცესი ორმხრივია. გაზეთის საშუალებით თვით ნორმაც განიცდის გარკვეულ ზეგავლენას ენის მატარებელთა მხრიდან – საგაზეთო სტატიების ავტორები სხვადასხვა მიზეზების გამო ყოველთვის არ იცავენ გრამატიკისა და სტილისტიკის მიერ ნაკარნახევ ნორმატივებს). გაზეთი თითქმის მყისიერად ახდენს დაკანონებული ნორმის იმ ცვლილებების რეგისტრირებას, რომლებიც მხატვრულ ტექსტებამდე და მით უმეტეს ნორმატიულ ცნობიერებამდე წლების დაგვიანებით აღწევენ. ამრიგად, საგაზეთო ტექსტი წარმოადგენს უახლესი ლინგვისტური ინფორმაციის წყაროს. მიუხედავად ამისა ლინგვისტების გარკვეული ნაწილი ერიდება საგაზეთო ტექსტების დამუშავება-შესწავლას. მათი უმრავლესობა არჩევს შეისწავლოს ენა აღიარებული ავტორების მხატვრული ტექსტების საფუძველზე, რის გამოც ძალაუნებურად ხდება საგაზეთო ტექსტების პრაქტიკულად იგნორირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მაინც შემთხვევითი არ არის, რომ ენის ეფექტურად სწავლების მეთოდების ძიებისას და ამ მეთოდების შესაბამისად აუცილებელი ლინგვისტური მასალით უზრუნველსაყოფად ხშირად მიმართავენ საგაზეთო ტექსტების საფუძველზე შექმნილ სიხშირით ლექსიკონებს, ინგლისური ენის რიგით მე-

ორე სიხშირითი ლექსიკონი, შექმნილი სასწავლო მიზნით რ. ელდრიჯის მიერ, დაფუძნებულია საგაზეთო ტექსტების დამუშავების შედეგად მიღებულ მასალაზე (Eldridge R.C. Six thousand common English words. Niagara Falls, 1911).

ასევე, ფ. მალირჟის მიერ შედგენილი რუსული ენის პირველი სიხშირითი ლექსიკონი მთლიანად ეყრდნობა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილ მასალას (Malíř F. Rusko-český slovnik nejdůležitějšich slov pro četbu sovětskego tisku. Praha, 1951)

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შექმნილია საგაზეთო ტექსტებზე დაფუძნებული რიგი სიხშირითი ლექსიკონებისა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ლატვიურ, მოლდავურ, ყაზახურ და ავღანურ ენებზე.

სამეცნიერო-ტექნიკური სპეციალური ტიპის ტექსტების სიხშირითი ლექსიკონები ძირითადად საბჭოთა კავშირში იქმნება. მარტო საკავშირო „მეტყველების სტატისტიკის" ჯგუფის მიერ შედგენილია ასზე მეტი ასეთი ლექსიკონი. ყველა ისინი გამოქვეყნებულია განსაკუთრებით ხშირად ხმარებული ერთეულების სიხშირითი სიების სახით (თითოეული სია შეიცავს არა უმეტეს 2000 ერთეულისა). ზოგადსამეცნიერო და ზოგადტექნიკური ლექსიკის სიხშირითი ლექსიკონების შედგენა რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ასეთი ტიპის ლექსიკონები უნდა მოიცავდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგს და არა მათ გარკვეულ (თუნდაც მნიშვნელოვან) ნაწილს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ლექსიკონებიდან ჩვენ ვერ მივიღებთ ობიექტურ ცნობებს.

განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ისეთი სიხშირითი ლექსიკონების შედგენისას, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ უნივერსალურობაზე, რომლებიც ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით უნდა მოიცავდნენ ენას მთლიანად, მეცნიერებას მთლიანად, ტექნიკას მთლი-

ანად და ა.შ. მსგავსი სახის მასშტაბური გამოკვლევების ჩასატარებლად აუცილებელია, რა თქმა უნდა, დასამუშავებელი მასივების შესაბამისი შერჩევა და რაც მთავარია, საკმაოდ მოზრდილი კოლექტივის მობილიზება-კოლექტივისა, რომელსაც შეეძლება დაამუშაოს შერჩეული ტექსტების უზარმაზარი ერთობლიობა (ასეთი მიზნებისათვის განკუთვნილი ტექსტები, როგორც წესი, შეიცავენ რამდენიმე მილიონ სიტყვაფორმას).

ამიტომ უფრო მიზანშეწონილია ე.წ. დარგობრივი სიხშირითი ლექსიკონების შედგენა, რომელთათვის დასამუშავებელი მასივების მოცულობა არ აღემატება 200-400 ათას სიტყვაფორმას. შემდგომში შესაძლებელია მსგავსი გამოკვლევების მონაცემების გაერთიანება, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს განზოგადოებული ტიპის სიხშირით ლექსიკონამდე. მსგავსი სამუშაო ძალუძს შედარებით მცირერიცხოვან კოლექტივს. მის ჩასატარებლად აუცილებელია მკაცრად განსაზღვრული სამუშაო გეგმის და, რაც მთავარია, შერჩეული ტექსტების ანალიზის ერთი გარკვეული მეთოდიკის არსებობა.

დასამუშავებელი ტექსტების ფორმისა და შინაარსის მიხედვით სიხშირითი ლექსიკონების დაყოფა შეიძლება დავიყვანოთ ერთ ავტორამდე, ერთ კონკრეტულ ნაწარმოებამდე და ცალკეულ ტექსტამდეც კი. ამ შემთხვევაში ლინგვისტიკის ინტერესები მჭიდროდ უკავშირდებიან უშუალოდ ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, საავტორო სტილისტიკის ინტერესებს.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვხვდებით შერეული ტიპის სიხშირით ლექსიკონებს. ყველაზე გავრცელებული მათ შორის არის ე.წ. სიტყვათმაჩვენებელი ანუ ინდექსი, რომელშიც ყოველ სიტყვას თან ახლავს შესაბამისი „მისამართი" (გვერდის და სტრიქონის დასახელება, სადაც შეგვხვდა ეს სიტყვა) და სიხშირე. სიხშირითი ლექსიკონის კიდევ ერთი ნაირსახეობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც თან აქვს დართული

მასში შესული სიტყვების სიხშირითი სია და ა.შ.

სიხშირით ლექსიკონთა შორის ერთ-ერთი პირველი - ჩინური იეროგლიფების სიხშირითი ლექსიკონი შედგენილ იქნა სტამბური წესით დასაბეჭდი ტექსტების მატრიცების ასაწყობი სამუშაოების ოპტიმიზაციის მიზნით. დამუშავებული ტექსტებისა და გამოქვეყნებული სიტყვარის მოცულობით ერთ-ერთი უდიდესი სიხშირითი ლექსიკონი შეიქმნა გერმანული ტექსტების საფუძველზე. მისი მიზანი იყო სტენოგრაფირების სისტემის სრულყოფა. საზღვარგარეთ გამოცემული სიხშირითი ლექსიკონების უმეტესობა მიზნად ისახავს ენის სწავლების მეთოდიკის დამუშავება-გაუმჯობესებას. სიხშირით ლექსიკონთა გარკვეული ნაწილი განკუთვნილია ლინგვისტური, ლინგვოსტატისტიკური, ლინგვოფსიქოლოგიური, ტექნიკური, სამხედრო-ტექნიკური, იურიდიული და ა.შ. გამოკვლევებისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბავშვთა მეტყველების - კერძოდ ბავშვთა ლექსიკონის განვითარების დინამიკის სტატისტიკური გამოკვლევა. შრომები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ეძღვნებიან, საშუალებას გვაძლევენ ჩავატაროთ როგორც ლინგვისტებისათვის, ისევე ფსიქოლოგებისათვის ერთნაირად საინტერესო დაკვირვებები.

